

მკლეველი საწუთროძსა

„გარნა მძლო საწუთროძან“
(მეფის ანდერძიდან)

დავითმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლე ბრძოლასა და წიგნის კითხვაში გაატარა. სშირად, ჩასაფრებულს, ბრძოლის მოლოდინში, ერთ ხელში თუ მახვილი ეპყრა, მეორეში წიგნი ეჭირა. მემატინანე ერთგან წერს მასზე: „...მარტო წარვიდა ყოვლად უსაჭურვლო, ხრმლითა ოდენ და თანა წარიტანა წიგნი ღმრთისმეტყველი...“ წიგნს წარიტანდა, მითუმეტეს, ლჰთისმეტყველს, ცხადია, არა თავის შესაყოლიებლად, ან ფიქრთა გასართველად, რადგან მეფეს, როგორც ვიცით მისი მემატინანისგან, წიგნის კითხვისას არ სჩვეოდა ზერელობა („გარეწარობა“), არამედ ცდილობდა ღრმად ჩასწვდომოდა საგანს, განემარტა სიღრმე და ფარული ძალი წაკითხულისა.

„ღელეთა ავჭალისათა“ ჩასაფრებული მეფე ისეთი თავდავიწყებით „შეეცა კითხვასა და ესოღენ წარტყვენა მისგან გონებითა, რომელ სრულიად დაავიწყდა წინამდებარე საქმე, ვიდრემდის ხმა რამე კივილისა შემოესმა ყურთა“, მოგვითხრობს მემატინანე ერთ კერძო შემთხვევას, მაგრამ ეს არ იყო ერთადერთი შემთხვევა მეფის ცხოვრებაში, ჩვეულებრივ ასე იქცეოდა მეფე. ასევე იქცეოდა მეფე სანადიროდ გასვლისას; იმდენად დაუოკებელი ყოფილა მასში წიგნისადმი ტრფიალუბა, რომ „თვით ნადირობასა შინა წიგნი აქენდიან ხელთა“. იმდენად ერთგული ყოფილა მეფე ამ მშვიდობიანი საქმიანობისა, რომ თავის განუწყვეტელ მიმოსვლაში და „ლაშქრობათა მოუწყინებელთა“ ჯორაქლებებით დაატარებდა თავის, უნდა ვიფიქროთ, არცთუ მწირ ბიბლიოთეკას. ამ ცის ქვეშ, ველზე ბრძოლის მოლოდინში ის აგებდა თავის გარშემო ზღუდეს, რომლის მიღმა ვერ აღწევდა წუთისოფლის ხმაური და ამარება, ის შრომობდა სულიერად და მერე ომში გადიოდა, როგორც მესიის მახვილი, აღჭურვილი საღვთო ცოდნით. „მხედრობათა შინა

აღზრდილი“, როგორც იგი წარუდგენდა თავს სამღვდელი კრებულს, ამ სამღვდელოებზე არანაკლებ იყო აღვსილი ღვთის შემეცნების შურით, და მისი მსხვერპლი – ტიტული, რომელსაც ალბათ მის მეფობაში მიეცა დასაბამი, აშკარად იძენდა სულიერების სიმბოლურ მნიშვნელობას. ისიც აშკარაა, თუ დაკვირვებით წავიკითხავთ მის ანდერძს, დაწერილს თუ ნაკარნახევს „დღეთა შინა სიკვდილისა“, რომ მას „მეფობის შარავანდი“ და საერო ხელმწიფება არ მიაჩნდა უმაღლეს ღირებულებად, არამედ წარმავეალ ტვირთად, რომლის სატარებლად მოავლინა მისი სული განგებამ საქრისტიანოს ამ კუთხეში მის გადასარჩენად სწორედ მაშინ, როდესაც მას უკიდურესი გასაჭირი ადგა. „რამეთუ მხიარულ ჰყოფდის ყრმა ესე დაფარულთა გულისა ჩემისათა, – ვკითხულობთ „ანდერძში“, – და მენებაცა მოცლა საწუთოდასაგან მეფეყოფითა მაგისითა, რომელი-ესე ღმერთმან და მე და ორის წლითგან მოძღვარმან ჩემმან უწყით. გარნა მძლო საწუთრომან...“ ეს ყრმა უფლისწული დემეტრეა, რომლის მოვლინებას თავის ძედ ღვთის წყალობად რაცხდა და ჩააწერინა ანდერძში, რომ იგი „ნამდვილ ესევეთარი ჯერ იყო მეფე“, აღიარებდა რა მის მეფურ ღირსებებს, თავისზე უპირატესს – სიბრძნეს, სიწმინდეს, ახოვნებას, სიმხნეს. მისი „დაფარული გულისა“ მზად იყო თავის სიცოცხლეშივე დაეთმო უფლისწულისთვის მეფობა, თავად კი სულიერ ღვაწლს შედგომოდა. ეს „დაფარული გულისა“ ამხელს საიდუმლოს არსებობას, – საიდუმლოს არა მეფისა, არამედ კერძოკაცისა, ერთი უბრალო ქრისტიანისა. თუმცა ამ რიგით ქრისტიანს ჰქონდა ჭეშმარიტად მეფური განსაცდელი, რომელიც ჩაწერილი აქვს თავის პირველ ანდერძში („ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი“) და მემატიანეც მოიხსენიებს მის „ცხოვრებაში“. მემატიანე მოგვითხრობას მასზე, როგორც ერთ-ერთ ეპიზოდზე სხვა მრავალ საბედისწერო შემთხვევათაგან, როცა მეფე ღვთის შეწევნით გადარჩენილა სიკვდილს. „ნადირთა დენასა შინა ოდესმე მუხნარს წაექცა ცხენი და ესეოდენ შეიმუსრა, რომელ სამ დღე

ყოვლად უსულო მდებარე იყო უძრავად, სამშენველისაგან ოდენ სა-
ცნაური ცოცხლად. და შემდგომად სამ დღე ნამტკნარსა სისხლისასა
აღმომყრელსა მოექცა სული და სიტყუა, და ძლითა აღდგა ცოცხალი“.
ასე წერს უსახელო მემატიანე, აღწერს შემთხვევას, რაც მოხდა ყველას
თვალწინ: მკვდარი იყო და აღდგა, ფეხზე წამოდგა ცოცხალი. მაგრამ
მეფისთვის ეს განსაცდელი, როგორც შინაგანი გამოცდილება, არ შე-
იძლება შემთხვევითი ყოფილიყო და უკვალოდ ჩაეველო მის სულიერ
ცხოვრებაში. ფიზიკური გადარჩენა უნდა ყოფილიყო ნიშანი იმისა, რომ
მეფის პიროვნებაში მოხდა სულიერი გარდატეხა – ბადალი მეორედ
შობისა, თუ მკვდრეთით აღდგინებისა ახალ, განახლებულ კაცად, და
თვით „სამი დღის“ სიმბოლიზში იდუმალეებრივ მნიშვნელობას ანიჭებს
ამ განსაცდელს, რაც სამუდამოდ გამოკვეთა მისმა ბაგეებმა „ანდერძში“
ჩასაწერად: „...მე ხოდაბუნი შემიწირავს მუხრანს წმიდისა სვიმონ საკ-
ვირველმოქმედისადა, რომელმან სამისა დღისა მკვდარი აღმადგინა“.

თუ ამ სიტყვებით („სამისა დღისა მკვდარი აღმადგინა“) გამოხატული
ფაქტი განკურნებისა მხოლოდ ფიზიკურ გამოჯანსაღებას არ გულის-
ხმობს, ხოდაბუნის შეწირვას მონასტრისადმი სხვა აღთქმაც უნდა ხლე-
ბოდა „მკვდრეთით აღდგინებულისგან“, ანუ სულიერი მსხვერპლი – „მო-
ცლა საწუთოდაგან“ და ღვთისადმი თავის „შესაკუთრება“. შესაძლოა, ეს
იყო მისი „დაფარული გულისა“, რომელიც მის გარდა ერთმა ღმერთმა
და მისმა სულიერმა მამამ იოანემ უწყოდა. მაგრამ ასე არ მოხდა – მეფე
ქვეყანას აშენებდა; საბოლოო ანდერძში (1125 წ.) კი ჩაწერილია როგორც
უკანასკნელი აღსარება, აღიარება თავისი უძღურებისა წუთისოფლის
წინაშე, გულისშემძვრელი სიტყვები სინანულისა: „ბარნა მძღო
საწუთრომან“. იქნებ ამ დაწნეხილ თქმაშია მოქცეული იმ ცოდვათა
კვანძი, „გალობანი სინანულისანი“ რომ ჩამოთვლის.

დიდგორში ურიცხვი ლაშქრის მძლეველი, გარდამხდელი საღვთო
ომისა, აღიარებს სიკვდილის წინ, რომ ძლეულია. „ვერ უძლე დატევებად

საწუთოასა, – ვკითხულობთ „ანდერძში“, – ვიდრე არ დამიტევა მე სა-
წუთრომან და დამძიმებული ცოდვათა სიმრავლითა განმიყვანა წინაშე
მსაჯულისა“. ამ სიტყვების წარმომთქმელი განიცდის საკუთარ თავს
არა დასაყდრებულს პანკრატოვან-დავითიან ტახტზე, არა ბუნებით
პორფიროსანსა და ცხებულს, არამედ მეფობის-ზარ-წამხდარს და შარა-
ვანდრამქრალს, მოუსყიდველი მსაჯულის წინაშე წარსადგომად განმზა-
დებულს. ახლა იგი, როგორც რიგითი ქრისტიანი, აღმსარებელია ნებ-
სით ჩადენილთა თუ უნებლიეთ გულში გავლებულთა, თუნდაც აღუ-
სრულებელთა ცოდვათა; მსასობელი იმ შეუქმნელი ნათელის ხილვისა,
რომლის წინასწარ განცდას ცდილობდა ღვთისმეტყველთა წიგნებზე
თავდახრილი და „გულის-მუხლ-მოდრეკილი“ მოცალეობის ჟამს, თუ-
კი მოცალეობა ეთქმოდა სულის ამოსათქმელ შუალედებს ბრძოლასა
და ბრძოლას შორის.

წუთისოფლის საზრუნავთაგან დაკავებულ „დავითიან სულს“ ორი
გზა ჰქონდა სრულყოფისკენ: ერთი – ქრისტიანული მოძღვრების შე-
სწავლა, საღვთისმეტყველო წიგნთა გამუდმებული კითხვა და სმენა
(„რაჟამს თვალნი დაშერიან, სასმენელნი ანაცვალნის“), რისთვისაც და-
ატარებდა „დღე და ღამე მიმოსვლათა შინა“ ჯორ-აქლემებზე აკიდე-
ბულ წიგნებს, როგორც ყოველდღიურ სასიცოცხლო საზრდელს სა-
ჭურვლად და საგზლად ღვთისშემეცნების გზაზე. მეორე გზა იყო სი-
ნანულის გზა, შინაგანი, ლიტურგიული შემზადება ღვთის ჭეშმარი-
ტებათა შესაცნობად ცოდვათა აღსარებისა და სინანულის მეშვეობით.
საბა განმარტავს სინანულს, როგორც „ცოდვის ქმნისათვის მწყუხა-
რებას“, მაგრამ ვინც ადამიანს მოუწოდა ამ სიტყვებით: „შინანეთ, რა-
მეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა“ (მათ. 3, 2), „სინანულში“
(ბერძნ. მენტანონია) გულისხმობდა ფიქრთა გარდაქმნას, საკუთარ
თავთან და სოფელთან დამოკიდებულებისა და მიმართების ძირფესვიან
შეცვლას ღვთის სასუფეველის ცოცხალ მოლოდინში, როცა ადამიანის

შეგნებაში იღვიძებს ცოდვილობის განცდა; ადამიანი შეიცნობს ცოდვას და ამ შეცნობით ძლევს მას, რათა მოიპოვოს ახალი „ხატყოფა“ ანუ აღიდგინოს ღვთის ხატი განწმედილ არსებაში. ცოდვათა აღსარება არის გზა აღსასვლელად იმ განურყვნელ ადამამდე, რომელიც ღმერთმა უკვდავებისთვის შექმნა. ამგვარად, აღსარება და სინანული პირადი ლიტურგიაა ქრისტესთან საზიარებლად, სიბრძნის წყაროსთან და „ნათელთან ზემთა საუკუნეთა“, რომელსაც ცოდვილი ანუ, როგორც დავითი ამბობს, „ბრალეული“ („ჩემოდენ ბრალეულსა“) ვერ იხილავს. სინანული ღვთისშემეცნების აუცილებელი პირობა ხდება. ამ მიზანს ემსახურება მართლმადიდებლური ჰიმნოგრაფიის სახეობა – „გალობანი სინანულისანი“.

თუ ყურადღებას შევაჩერებთ „გალობებში“ ჩამოთვლილ ცოდვებზე, შევნიშნავთ, რომ ბევრი მათგანი გარდაუვალი თანამდევია ადამიანისა მის წუთისოფელში; ისინი ჭეშმარიტად საწუთონი არიან, როგორც დაცემული, წარმავალი ადამის ატრიბუტნი. ესენი წარმართავენ ისტორიულ პროცესს – საკაცობრიო ცხოვრებას. მართალია, მეფე წერს ანდერძში, „მძლო საწუთრომან“, მაგრამ განა შეიძლება ძლეულად ჩაითვალოს ადამიანი, რომელიც „გალობებში სინანულისა“ მსჯავრს სდებს საწუთონში გაშლილ, ცოდვებით ანაგებ ისტორიას, ეჭვის ქვეშ აყენებს მის ღირებულებებს, გმობს მათ და ამ გმობით, შეცნობით, მასზე მაღლა დგება? გარდაქმნილი გონებით ის უკუხედვით განჭვრეტს განვლილ წუთისოფელს, როცა „ზარი მეფობისა“ გაუქმებულია და გადაშლილია სიცოცხლის წიგნი განკითხვის დღეს. მონანული მეფე ამ წიგნის ფურცლებიდან აფასებს საკაცობრიო ისტორიას თითქოს შემსწრე მისი დასასრულისა, როცა „წარვალს ხატი ამის სოფლისაჲ“ (1 კორ. 7, 31). თუ შეეძლო მას, როგორც ადამის ძეს, იმის შესაქმნელად, რასაც ქმნიდა ამ საწუთროში, ამ გზებზე, ამ ორომპტრიულში, შეენარჩუნებინა იმისი ხატი, ვისაც შენდობას გამოსთხოვდა მისდამი უმადურების მწარე შეგნე-

ბით? მაგრამ რაც მეტი იყო სიმწარე სინანულისა, მით უფრო დიდი იყო სასოება სრულყოფისა პირველხატის აღდგენის გზაზე. ერთია ობიექტური სურათი ადამიანის ნაღვაწისა, რაც გასაგნებულია და რასაც გარეშე თვალი ხედავს; სხვაა საკუთარი თვალი, რომლითაც ადამიანი შიგნიდან ხედავს და აფასებს საკუთარ თავს. „ხოლო ამათ თანა, – გადმოგვცემს დავითის მემატინაე, – რაოდენნი ეკლესიანი აღაშენნა, რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვაფენილყენა, რაოდენნი ეკლესიანი, წარმართთაგან შეგინებულნი, განწმიდნა სახლად ღმრთისად, რაოდენნი ნათესავნი წარმართთანი შეილად წმიდისა ემბაზისად მოიყვანნა და შეაწყნარნა ქრისტესა! და დადვა მისთვის უმეტესი მოსწრაფება, **რათამცა ყოველი სოფელი მოსტაცა ემმაკსა და შესაკუთრა ღმერთსა“**.

აი, ვალი ჭეშმარიტად მისი მხსველია! აი, ჭეშმარიტი აღმაშენებლობა, სულიერი და ხორციელი, როგორიც კი შეიძლება დაკისრებოდა მაღალ სულს იმ ქვეყანაში, სადაც მოვლენილი იყო. მაგრამ საკითხავია, თუ გადაწონიდა ყოველი ეს ნაღვაწი ერთ ცოდვას იმ ადამიანის შეგნებაში, ვინც ცოდვად თვლიდა შემთხვევის გაშვებას წყალობის გასაღებად, ხელმოცარვას სიკეთისყოფაში. „დღეს ვერა მივეც ქრისტესა მარცხებითა ჩემითა ცოდვათათა“, ოხვრით იტყოდა დღის დასასრულს, დამვიწყებელი იმ მრავალ წყალობათა და ქველისსაქმეთა, რაც გუშინ და გუშინწინ ჰქონდა გაღებული, და მეფეთა სამ თაობას ეყოფოდა სულის საღებნად და ცოდვათა დასაწონად უკანასკნელ სამსჯავროზე. მართალია, მემატინაე მეფეში ხედავს უკანასკნელი, ეს ქატოლოგიური ამოცანის აღმსრულებელს – „რათამცა ყოველი სოფელი მოსტაცა ემმაკსა და შესაკუთრა ღმერთსა“, თავად ცხმებული კი აღიარებს სიკვდილის წინ: „მძლო საწუთრომან“, ეს აღიარება, ცხადია, მის სულიერ სიმაღლეს მოწმობს; მასში ამ დროს მეტყველებს „სული სიწმიდისა და სიმაღლისა“, რადგან მონიჭებული აქვს „განცდა თვისთა ცოდვათა“ (ეფრემ ასურის ლოცვიდან),

როგორც პირობა, პირველი საფეხური წუთისოფლის ძლევისა. მის ანდერძში კიდევ ჩაწერილია: „ვერ უძლე დატევებად საწუთოასა, ვიდრე არ დამიტევა მე საწუთრომან“, მაგრამ მან ხომ შეიცნო საწუთროს ამოება და გააშიშვლა მისი საძირკვლები? გულსუწადინოდ შერჩა სოფელს და სული წარიწყმიდა? იქნებ მრავალთა ხსნისთვის წარიწყმიდა, თუ წარიწყმიდა? რადგან მაცხოვრის სიტყვებია: „რამეთუ რომელსა უნდოდეს სულისა თვისისა განრინება, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს, აცხოვროს იგი“ (ლუკ. 17, 33).

სულის კაცად დაბადებული მეფე რომ იძულებით იყო ჩაბმული სააქოსთვის ბრძოლაში, რომ განგებამ წარმავალს ამსახურა წარუდინებელის ტრფიალი, ეს არ უნდა ყოფილიყო საიდუმლო ახლობელთათვის. უთუოდ ამხელს მისი გულის დაფარულს უცნობი მემბტინის სიტყვები, ნათქვამი მის გარდაცვალებაზე: „ეგრეთვე ჟამსა შინა შეუნიერსა მოუწოდა ღმერთმან შემყვარებელსა თვისსა და მარადის მოსურნესა სამარადისოდ მეფობად წინაშე მისსა. არღარა მიუშვა მრავალჟამ სჯად და დაჭირვად სამსხემოსა ამას კედარსა შინა მკვიდრობითა...“

სულის კაცი დასჯილი იყო საწუთროში მკვიდრობით, ღვთის მოყვარე დაჭერილი იყო ამქვეყნად, თუნდაც ეს ქვეყანა მისი სამშობლო ყოფილიყო. ახლა კი მეფემ, როგორც მსხემმა, დატოვა თავისი დროებითი სადგური და, როგორც წერდა ჰაგიოგრაფი ერთი წმიდა კაცის გარდაცვალებაზე, „სირი აღფრინდა, დაუტევა ეგვიპტე, რომელ არს ცხოვრებაჲ ესე ნივთიერი... წიაღლო ზღვაჲ ამის საწუთროსაჲ“ მარადიული ძახილით თავის მიწიერ ნათესავთა მიმართ საუკუნეებში: „წუოდეს დავივიწყებთ დავითს!“

ზურაბ კიკნაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი